ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N34

ქ.თბილისი 25 დეკემბერი, 2018 წელი
15ᵐᵐსაათი

საკრებულოს ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე - გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - დავით უჯმაჯურიძე

ოთარ გრიგოლია - ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე;

ბექა დავითულიანი - ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე;

ლევან დარახველიძე - ფრაქციის „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე;

თევდორე ისაკაძე - სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ირაკლი ნადირაძე - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;

თინათინ ნიბლოშვილი - სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე;

რევაზ სოხაძე - ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე;

თამარ ტალიაშვილი - განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე;

დავით უთმელიძე - ფრაქციის „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარე;

ვახტანგ შაქარიშვილი - ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;

გიორგი ჩაკვეტაძე - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე;

ჯაბა ჯიშკარიანი - ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მან ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის საკითხები:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენა“;
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

ბიუროს წევრებმა განიხილეს, თუ რა ფორმატით უნდა წარიმართოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა და შეთანხმდნენ, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენის შემდეგ, საკრებულოს თითოეულ წევრს, კითხვებისთვის მიეცემა 3 წუთი. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ, თითოეულ ფრაქციას, შეფასებებისთვის მიეცემა 10-10 წუთი, ხოლო თუ რომელიმე ფრაქციას დასჭირდება მეტი დრო, ურთიერთშეთანხმებით, შესაძლებელია რამდენიმე ფრაქციის დროის გაერთიანება და მათთვის სასურველი ხანგრძლივობით გადანაწილება. სხდომის დასასრულს, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერს მიეცემა დრო შემაჯამებელი სიტყვისთვის.

საკრებულოს ბიურომ გადაწყვიტა:

1. მიღებული იქნას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენა“;
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე — გიორგი ახვლედიანი